პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 235 (3719) | 1 | 1968 წ. დეკემბერი. კვირა. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# XXXVI სტარტზეა

დღეს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში სტარტს იღებს კალათბურთელ ვაჟთა XXXVI საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობაში ტრადიციულად 12 უძლიერესი კოლექტივი მონაწილეობს. ესენი არიან (წინა ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით): თბილისის „დინამო", კიევის ასკ, ცსკა, ლენინგრადის „სპარტაკი", კიევის „სტროიტელი", ტარტუს „კალევი", რიგის ვეფ-ი და ასკ, კაუნასის „ჟალგირისი", თბილისის „ბურევესტნიკი", მოსკოვის „დინამო" და ალმა-ათის „ლოკომოტივი".

მოსკოვის „დინამოსა" და ალმა-ათის კალათბურთელებმა „ა" კლასის II ჯგუფის გუნდების ბოლო საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ორი ადგილი დაიკავეს და, ასე ვთქვათ, საქმით დაამტკიცეს თავიანთი „უმაღლესი უფლება". მოსკოვის და ყაზახეთის კალათბურთელებმა უძლიერესთა თორმეტეულში სვერდლოვსკის „ურალმაშისა" და ბაქოს „ბურევესტნიკის" ადგილები დაიკავეს.

როგორც I წრის ქვემომოყვანილი კალენდრიდან ჩანს, ჩემპიონატის ფორმულა არც წლეულს შეცვლილა. გუნდები 4-4-ჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, ორჯერ თავის, ორჯერ კი მეტოქის მოედნებზე. ბოლო ორ ადგილზე გასული კოლექტივები გადავლენ დაბალ ლიგაში, მათ ადგილს კი II ლიგის ასპარეზობაში გამარჯვებული გუნდები დაიკავებენ.

მაშ ასე, კალათბურთელთა XXXVI პირველობა სტარტს იღებს. დღეს, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, რიგისა და კაუნასის მოედნებზე აღიმართება ჩემპიონატის გახსნის ალამი.

მოგვყავს ჩემპიონატის I წრის კალენდარი. თამაშები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.



**1-2 დეკემბერი.** ცსკა — „ბურევესტნიკი" (თბილისი); „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სტროიტელი" (კიევი); „დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ); ვეფ (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი); ასკ (კიევი) — ასკ (რიგა); „ჟალგირისი" (კაუნასი) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა).

**6-7 დეკემბერი.** ცსკა — ასკ (რიგა); „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი"; „ჟალგირისი" — „დინამო" (მოსკოვი); „კალევი" — „სტროიტელი"; ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი"; ვეფ — „ლოკომოტივი".

**13-14 დეკემბერი.** „ლოკომოტივი" — ცსკა.

**15-16 დეკემბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — ასკ (კიევი); „სპარტაკი" — „კალევი"; „ბურევესტნიკი" — ვეფ; ასკ (რიგა) — „დინამო" (თბილისი); „სტროიტელი" — „ჟალგირისი".

**20-21 დეკემბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი); „სპარტაკი" — ასკ (კიევი); „სტროიტელი" — ვეფ; „ბურევესტნიკი" — „ჟალგირისი"; „ლოკომოტივი" — ასკ (რიგა).

**24-25 დეკემბერი.** „კალევი" — ცსკა.

**25-26 დეკემბერი.** „ბურევესტნიკი" — ასკ (რიგა).

**26 დეკემბერი.** „სტროიტელი" — ასკ (კიევი).

**29 დეკემბერი.** „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა.

**1969 წ. 5 იანვარი.** ასკ (რიგა) — ვეფ; „სტროიტელი" — ასკ (კიევი); „ბურევესტნიკი" — „დინამო" (თბილისი).

**7-8 იანვარი.** „კალევი" — „დინამო" (მოსკოვი).

**9-10 იანვარი.** ასკ (კიევი) — „ჟალგირისი".

**11-12 იანვარი.** „სტროიტელი" — ცსკა; „სპარტაკი" — „ბურევესტნიკი"; ასკ (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი); „კალევი" — ვეფ; „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი".

**16-17 იანვარი.** „დინამო" (თბილისი) — ცსკა; „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი"; „კალევი" — „ბურევესტნიკი"; ასკ (რიგა) — „სტროიტელი"; „ჟალგირისი" — ვეფ; ასკ (კიევი) — „ლოკომოტივი".

**21-22 იანვარი.** ვეფ — „სპარტაკი".

**23-24 იანვარი.** ცსკა — ასკ (კიევი); „სტროიტელი" — „დინამო" (მოსკოვი): „ჟალგირისი" — „დინამო" (თბილისი); „ლოკომოტივი" — „კალევი".

**28 იანვარი.** „ბურევესტნიკი" — „დინამო" (თბილისი); „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა.

**28-29 იანვარი.** ვეფ — ასკ (კიევი); „ლოკომოტივი" — „სპარტაკი".

**2-3 თებერვალი.** ცსკა — ვეფ.

**4-5 თებერვალი.** „სპარტაკი" — ასკ (რიგა); „ჟალგირისი" — „კალევი"; „ლოკომოტივი" — „სტროიტელი".

**9-10 თებერვალი.** ვეფ — „დინამო" (თბილისი); „ჟალგირისი" — ასკ (რიგა); ასკ (კიევი) — „კალევი"; „ბურევესტნიკი" — „სტროიტელი"; „დინამო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი".

**14-15 თებერვალი.** „სტროიტელი" — „დინამო" (თბილისი); „ბურევესტნიკი" — „ლოკომოტივი".

**15 თებერვალი.** ასკ (რიგა) — ვეფ.

**15-16 თებერვალი.** ცსკა — „სპარტაკი".

**19-20 თებერვალი.** ცსკა — „ჟალგირისი"; ასკ (რიგა) — „კალევი"; „დინამო" (თბილისი) — ასკ (კიევი).

**21-22 თებერვალი.** „დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი".

**23-24 თებერვალი.** „სპარტაკი" — „ჟალგირისი".

## ოლიმპიელთა ყოველდღიური საქმეები

### კაპიტანი ხომალდს არ ტოვებს

სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა გუნდის კომორგს ინა რისკალს მეხიკოდან გამარჯვებით დამთავრების შემდეგ არც კი დაუსვენია, ისე დადგა ბადესთან. ისევ წვრთნა, წვრთნა, წვრთნა...

რომ მოეთხოვა, ინას, რა თქმა უნდა, მისცემდნენ თუნდაც მოკლევადიან „შვებულებას". მაგრამ განა შეიძლება კაპიტანმა მიატოვოს ხომალდი, როცა მას საფრთხე ემუქრება? საფრთხე კი მართლაც სერიოზული ელის რისკალის მშობლიურ გუნდს „ნეფტჩის". მან შეიძლება უმაღლესი ლიგა დატოვოს.

წინა ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები, სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის ვერცხლის მედლების მფლობელები — ბაქოს ფრენბურთელი ქალები წლევანდელ პირველობაში წარუმატებლად გამოვიდნენ. სტარტზე გუნდა სხვადასხვა მიზეზით დატოვა სამმა ძირითადმა მოთამაშემ, შემდეგ ინა და ვ. ლანტრატოვა სსრ კავშირის ნაკრებში წავიდნენ. ამის შედეგია ბოლო ადგილი. იმ ოთხ მატჩში, დეკემბერში რომ ჩატარდება, გადაწყდება გუნდის საბოლოო ბედი.

აი, რატომ ჩადგა „ნეფტჩის" კაპიტანი მწყობრში იმ კოლექტივთან ერთად, სადაც სპორტის დამსახურებულ ოსტატად აღიზარდა, იმ მეგობრებთან ერთად, რომელთა თვალწინაც მიიღო სიმწიფის ატესტატი, შემდეგ კი დიპლომი.

რისკალი უკვე რვა წელია ქვეყნის ნაკრებ გუნდებში თამაშობს (იგი ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდა). რისკალის ჯილდოებით მთელი კოლექცია შეიძლება შედგეს, რისკალზე წერენ გაზეთები, რისკალს ეძღვნება ნარკვევები, მას იღებენ კინოფილმებში. გუნდში კი ინა ისევ იმ ინად რჩება, როგორიც ადრე იყო.

— დარწმუნებული ვარ, კაცი, რომელსაც თავისი საქმე უყვარს, ვარსკვლავების ავადმყოფობით არ დაავადდება, — ამბობს რისკალის აღმზრდელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შ. შამხალოვი.

ინას უყვარს სპორტი, ფრენბურთი, აღმზრდელი კლუბი.

— „ნეფტჩიდან" არასოდეს არ წავალ, — ამბობს რისკალი, — თუნდაც გუნდმა უმაღლესი ლიგა დატოვოს.

ა. ნიკოლსკი.

### პროგრამა-მინიმუმი

თუ გინდათ, რომ ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი ცურვაში ს. ბელიც-გეიმანი შინ დაიჭიროთ, იცოდეთ, ამაოდ დაშვრებით. მეხიკოდან მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ იგი თითქმის ყოველდღე გამოდიოდა ინსტიტუტებში, კლუბებში, კულტურის სახლებში. ერ-ერთი პირველი შეხვედრა მას მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტებთან ჰქონდა, სადაც თვად სწავლობს. ბელიც-გეიმანი მიწვეულია სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, კემეროვოში, ტომსკში, საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა ქალაქში.

ადრე კი ასე არ იყო. ჩვეულებრივ, შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ სპორტსმენი ჯერ ახლობლებს გაუზიარებდა ხოლმე თავის შთაბეჭდილებებს. მაგრამ მექსიკის ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ მოსაყოლიც არაფერი ჰქონდა. მამამისი — რსფსრ-ს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ტელევიზიის ცენტრალური სტუდიის რეჟისორი ვიქტორ ბელიც-გეიმანი თავად ტურისტად იყო მეხიკოში, ძმა — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის მთავარი მწვრთნელი, ჩვენი ჩოგბურთელების დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

უახლოეს დღეებში სპორტსმენი გულრიფშს ეწვევა. ეს მისთვის ღირსსახსოვარი ადგილია. 1953 წელს მამამ სწორედ აქ ასწავლა წყალზე დგომა. მეორე წელიწადს იმავე შავი ზღვის ნაპირზე, ბიჭინახა მოცურავეთა მწვრთნელმა — მისმა ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა.

ბელიც-გეიმანი სამხრეთში დაისვენებს, მერე კი 1969 წლის სპორტული სეზონისთვის მოემზადება. მისი პროგრამა-მინიმუმი ასეთია: ინსტიტუტში შემდეგ კურსზე გადასვლა, სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება, ევროპის რეკორდსმენის წოდების დაბრუნება 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

ვ. ხაჩატურიანი.

## დინამოელთა მოგზაურობა

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი გუშინ მოსკოვის გზას დაადგა. მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართველ ფეხბურთელებს მოსკოვში ახლა არავითარი საქმე არა აქვთ — ეს ქალაქი ამჯერად მათთვის სატრანზიტო პუნქტია: 3 დეკემბერს თბილისელები დასტოვებენ მოსკოვს და საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად უცხოეთში წავლენ. ჩვენი გუნდი ითამაშებს კამბოჯასა და სინგაპურში.

გამგზავრების წინ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გ. ჩოხელმა აღნიშნა დინამოელთა მაღალი საბრძოლო განწყობილება და თქვა, რომ ფეხბურთელები დიდი ინტერესით ელიან მომავალ საერთაშორისო შეხვედრებს.

გუნდის შემადგენლობაში არიან: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, სიჭინავა, მეტრეველი, გავაშელი, გ. ნოდია და სხვ. დელეგაციის ხელმძღვანელია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი დ. ცომაია.

## საათი!

◆ **მეხიკო, 30 ნოემბერი.** VI ეტაპის შემდეგ მექსიკის მრავალდღიანი ველორბოლის ლიდერის ყვითელი მაისური საბჭოთა სპორტსმენმა ვ. სოკოლოვმა დაისაკუთრა. ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ აგუასკალიენტესისკენ გზად მან ჰოლანდიელ კ. კოპენთან ერთად 12 წუთით გაუსწრო დანარჩენ მეტოქეებს, მაგრამ ქალაქის მაგისტრალებში გზა აერია, ერთ ადგილას, როცა ფინიშამდე სულ 500 მეტრი იყო დარჩენილი, უსწოროდ მოუხვია და... ჰოლანდიელი პირველი მიიჭრა ფინიშთან. მიუხედავად ამისა, სოკოლოვმა ერთბაშად 4 წუთით აჯობა რბოლის მანამდელ ლიდერს, მექსიკელ რ. ტრევინოს. მეორე საბჭოთა მრბოლელი ი. პოლუპანოვი XII ადგილზეა, ხოლო გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის წარმომადგენლები III ადგილზე არიან.

◆ **ვარშავა, 30 ნოემბერი.** ბიატლონისტთა 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (გაიმართება პოლონეთის ცნობილ სამთო კურორტ ზაკოპანეში) საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ამ ასპარეზობაში მონაწილეობის მსურველთა მეთხუთმეტე განაცხადი — იტალიელთაგან. ამდენი მონაწილე ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში არასოდეს ყოფილა: წინა პირველობაში, რომელიც მოასპარეზეთა რაოდენობის მხრივ სარეკორდო იყო, 13 გუნდი მონაწილეობდა. საორგანიზაციო კომიტეტი ელის განაცხადებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იაპონიიდან და მონღოლეთიდან.

◆ **ბარსელონა, 30 ნოემბერი.** ესპანეთის ამ ქალაქში დაიწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გასასვლელი შესარჩევი ტურნირი წყალბურთში. ხუთმა საუკეთესო გუნდმა, რომელთაგან მხოლოდ 3 გააგრძელებს შეჯიბრებას, უკვე გამართა პირველი მატჩები. ბელგრადის „პარტიზანმა" დაამარცხა მარსელის „სერკლ დე ნაჟელი" (14:2), პირეოსის „ეთნიკოსმა" — ვენის „ვინერი" (7:3), ბარსელონის „ისპანიამ" — „სერკლ დე ნაჟელი" (8:5). „პარტიზანისა" და „ვინერის" შეხვედრა დამთავრდა იუგოსლაველთა გამარჯვებით — 11:2. ექვსი უძლიერესი გუნდის (პირველი სამეული, სადაც მოსკოვის „დინამოცაა", ზაგრების ტურნირში დადგინდა) ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 13 და 15 დეკემბერს მოსკოვსა და ბელგრადში.

# ყველასთვის ძვირფასი თასი

## ა. ფალავანდიშვილის ხსოვნას



სპარტაკიადა თანამედროვე საბჭოთა მოქალაქისთვის იმდენად ნაცნობ და სახურველ ღონისძიებად იქცა, რომ დღეს ამ ასპარეზობის ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟი, ინტერესი და „ხმაური“ აღარავის აკვირვებს...

მაგრამ ამ ორი წლის წინ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდა „ჯანმრთელობის სპარტაკიადა“, რომელმაც მართლაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

ამ ინტერესს საფუძველი ჰქონდა: გამარჯვებულ კათედრას გადაეცემოდა თასი, რომელიც ინსტიტუტის ყოფილი რექტორის, აწ განსვენებული ალექსანდრე ფალავანდიშვილის სახელს ატარებს. დიახ, ყველას სურდა, რომ თასი მათთვის ახე ახლობელი და საყვარელი ადამიანის პორტრეტით მათს ოთახში მდგარიყო, როგორც დამსახურებული ჯილდო გარდაცვლილი მეგობრის კეთილი ხსოვნისთვის.

... ომისშემდგომი ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თბილისში, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ჩვენში საჭადრაკო მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ენერგიული საზოგადოებრივი მუშაკი, აი, როგორი იყო იგი, ალექსანდრე ფალავანდიშვილი, გულისხმიერი, თანამშრომლებთან მეგობრული, სტუდენტებისადმი ყურადღებიანი. სიცოცხლის უკანასკნელ წუთსაც იგი მათთან იყო.

თასი ორ წელიწადს ინახებოდა სპორტულ თამაშობათა კათედრაზე. და აი, ხვალ, 2 დეკემბერს, როცა ალექსანდრე ფალავანდიშვილს 60 წელი უნდა შესრულებოდა, გაიხსნება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის „ჯანმრთელობის სპარტაკიადა“. ინსტიტუტის თანამშრომლები, სპარტაკიადის მსაჯები და მონაწილენი დიდი ენთუზიაზმით ამზადებენ ამ შეჯიბრებას: სურთ იგი ჩატარდეს ისე ლამაზად, ორგანიზებულად და საქმის სიყვარულით, როგორც ეს მათი უდროოდ გარდაცვლილი რექტორისა და მეგობრის ხსოვნას ეკადრება.

**ა. ციბაძე,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

# ფერხულს ჩამორჩა

თერჯოლის კომკავშირის რაიკომში მექანიკური ქარხნიდან დარეკეს — კომპლექსური სპორტული ბაზის გახსნის ზეიმი გვაქვს და გვეწვიეთო.

კომკავშირის საიუბილეო დღეებში ასეთი მიპატიჟება ხშირი იყო. სახელოვანი თარიღის აღსანიშნავად რაიონს ბევრი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა შეემატა. მათგან ყველაზე ღირსშესანიშნავი კი სწორედ ეს ახალი დარბაზი გახლდათ.

თერჯოლელი ახალგაზრდები ხელდამშვენებული შეხვდნენ იუბილეს. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს სახელმწიფოსთვის ყურძნის მიყიდვის გეგმა-ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულებაში. ჩატარდა ბევრი სპორტული ღონისძიებაც: გათამაშდა კომკავშირის სახელობის თასები სპორტის ცალკეულ სახეობებში, ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად მოიწვიეს თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები...

იმ დღეებში ახალმა დარბაზმა პირველად გაუღო კარი კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ჭიდაობისა და ფარიკაობის მოყვარულებს.

— წლეულს ჩვენს რაიონში ბევრი არსებული ბაზა კეთილმოეწყო, მწყობრში ჩადგა 37 ახალი სპორტული მოედანი. ახლა რაიონის სტადიონის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია გვაქვს განზრახული, — გვითხრა პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ყიფიანმა.

სპორტკავშირის თავმჯდომარემ ი. ჩარექიშვილმა გვითხრა, რომ სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივებშიც ამაღლდა მუშაობის დონე. ჭოგნარის, ძევრის, თუზის და ზედა სიმონეთის ფიზკულტურელები სამაგალითონი არიან რაიონში. ჭოგნარელებმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. სვინტრაძე, მეთოდისტი ე. ლანჩავა) შარშან რესპუბლიკაში ისახელეს თავი: კონკურს-დათვალიერებაში, რომელიც „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ ჩაატარა, მათ II ადგილი დაიკავეს და ჯილდოდ 150 მანეთის სპორტული ინვენტარი მიიღეს. ახლო მომავალში კოლმეურნეობას საკუთარი სახსრებით სპორტდარბაზის აგება და ბავშვთა სპორტული სკოლის გახსნა აქვს გათვალისწინებული.

სპორტული მოედნების მოწყობაში კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ რაიონის საწარმო-დაწესებულებები. ერთობლივი ძალით კარგი ბაზები აშენდა ძევრსა და თუზში. კარგ შედეგს იძლევა სპორტული მოედნების კეთილმოწყობისა და საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივების კონკურს-დათვალიერებები. ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებამ დღის წესრიგში დააყენა შიდასაკოლექტივო და რაიონული პირველობების მომზადებისა და ჩატარების უკეთ ორგანიზაციის საკითხი. რაიონმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმა-ვალდებულებები.

ვარაუდით წლეულს უფრო დიდი წარმატებაც უნდა მოეპოვებინათ, რადგან განათლების სამინისტრომ აქ შარშან გახსნა ბავშვთა კომპლექსური სპორტული სკოლა 250 მოსწავლისთვის. მაგრამ ამ სკოლას ჯერჯერობით ბევრი არაფერი შეუმატებია თერჯოლელთა წარმატებებისთვის.

სპორტსკოლის დირექტორი, ახალგაზრდა სპეციალისტი დ. რაფავა, რომელმაც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაიწყო აქ მუშაობა, გულახდილად გველაპარაკა წარუმატებლობის ზოგიერთ მიზეზზე. ეს მიზეზებია დარბაზის უქონლობა, ინვენტარის უქმარობა, სექციებში მომეცადინეთა განუწყვეტელი დენადობა. დღემდის აქ არ მომზადებულა არც ერთი ნიშნოსანი და თანრიგოსანი, არც ერთ მოზარდს არ მიუღია მონაწილეობა რესპუბლიკურ პირველობებში. რაფავამ ისიც გვითხრა, რომ ბევრი მშობელი შვილს ვარჯიშის უფლებას არ აძლევს.





წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურისა და სპორტის სუსტი პროპაგანდა უნდა მივიჩნიოთ. სპორტსკოლა მხოლოდ თერჯოლის 900-მოსწავლიანი საშუალო სკოლისთვისაა ხელმისაწვდომი (სოფლებში რამდენიმე ჯგუფია გახსნილი). სხვა რომ არა, ფიზაღზრდის მასწავლებლები მოვალენი არიან სისტემატურად გამოავლინონ და სპორტულ სკოლაში გაგზავნონ ნიჭიერი ახალგაზრდები. თერჯოლის საშუალო სკოლის ბედაგოგები კი ამ მოვალეობას არ ასრულებენ. აქ თურმე კარგა ხანია დირექციასთან შეხმატკბილებულად თვითდინებაზეა მიშვებული ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა. უხეშად ირღვევა სასწავლო პროცესის დაკანონებული წესიც. მასწავლებლები ნ. გაბეხაძე, ფ. მხეიძე და უ. ქოჩიაშვილი გაკვეთილის გეგმასაც არ ადგენენ.

— რა უნდა შევამოწმო, თუ კი არ წარმომიდგენო? — გაიკვირვა სასწავლო ნაწილის გამგემ ე. კვიტიამ. მასწავლებლებმა ისიც კი არ იციან, რომელი გაკვეთილი სად და რა პირობებში ჩატარდება. შესანიშნავი სპორტული დარბაზი თვითმოქმედი მხატვრული წრეებისთვის უფრო ხელსაყრელადაა მიჩნეული. ფიზკულტურის გაკვეთილები ამ დარბაზში ათასში ერთხელ ტარდება. იმ დღეს, სკოლას რომ ვეწვიეთ, მეოთხე გაკვეთილი იდგა. IX კლასის მოსწავლეებს ფიზკულტურის გაკვეთილი უტარდებოდათ, დარბაზში კი ტაშფანდური იყო გაჩაღებული. დირექტორიც იქ გახლდათ.

დირექციამ ისიც კარგად იცის, რომ ცხრილში მაინცდამაინც ფიზკულტურის გაკვეთილები ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ ერთდროულად სამ და ოთხ ჯგუფს აქვს მეცადინეობა. ეს საკითხი პედსაბჭოს სხდომებზე რატომღაც მუდამ „ავიწყდებათ“. სკოლაში არც მოწინავე სპორტსმენთა სტენდებია, არც რეკორდების ცხრილი. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს არჩევნების ერთადერთი ოქმის მეტი არაფერი გააჩნია. ვისაც ეს მოვალეობა აკისრია, ის იხტიბარს არ იტეხს: ქაღალდებს რა მნიშვნელობა აქვს, ვმუშაობთ, ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებაში ვერავინ გვაჯობებსო. საბუთად მან 1968 წლის 8 ივნისს დაწერილი დირექტორის ბრძანება წარმოადგინა. ამ ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით III თანრიგის ნორმატივი შეუსრულებია 74 მოსწავლეს, მოზარდთა თანრიგისა — 78-ს, იმშთ და მშთ კომპლექსი ჩაუბარებია 213 ბავშვს, საზოგადოებრივი მუშაკის წოდება 55 მოსწავლეს მინიჭებია. მართლაც საამაყო ციფრებია, სინამდვილეს რომ შეეფერებოდეს.

არ შეიძლება ითქვას, რომ დირექტორ კ. გიორგაძეს ბრძანებისთვის ვინმემ მცდარი ცნობები მიაწოდა. მშთ კომპლექსის მიმღებ კომისიაში პირველი მისი გვარი წერია და მას კარგად უნდა სცოდნოდა სინამდვილე.

დასასრულ ისიც უნდა ითქვას, რომ თერჯოლის სკოლაში სპეციალური განათლების მქონე ხუთი ფიზაღზრდის მასწავლებელი მუშაობს.

**თ. გაჩეჩილაძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

თერჯოლა.

* * *

**სურათებზე:** რაიონის ახალ დარბაზში მეცადინეობას ატარებენ მწვრთნელი ლ. ჭავთარაძე (ჭიდაობა) და დ. რაფავა (ფარიკაობა).

**ფოტო ავტორისა.**

# ჩვენს დიდ ოჯახში

### შენდება კარტოდრომი

**კურსკი.** აქ დაიწყო კარტოდრომის მშენებლობა, რისთვისაც ოთხი ჰექტარი გამოიყო. კარტოდრომი იქნება ჩვენს ქვეყანაში პირველი სპორტული კომპლექსი მცირელიტრაჟიანი ავტომანქანებით — კარტინგებით მასობრივი ასპარეზობისთვის.

კურსკი კარტინგის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად იქცა ჩვენში. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრთა თითქმის ნახევარი ამ ქალაქიდანაა.

კურსკის პიონერთა სასახლეში მუშაობს ექსპერიმენტული ლაბორატორია, სადაც ამ პატარა მანქანების კონსტრუქციის საკითხები მუშავდება. აქვე სწავლობენ მრბოლელები — უკვე 100-ზე მეტი კაცი. სპორტსმენთა განკარგულებაშია 50 მანქანა, რომლებიც მათ საკუთარი ხელით გააკეთეს.

**ა. ხარიტანოვსკი.**

### დიდი ზამთარი... სომხეთში

**ერევანი, 28 ნოემბერი.** „წლევანდელი ზამთარი სომხეთში ისეთი იქნება, როგორიც არასოდეს ყოფილა“. ეს სიტყვები ეკუთვნის რესპუბლიკის მთავარ მწვრთნელს სპორტის ზამთრის სახეობებში რ. არუთიუნიანს.

— განზრახული გვაქვს რაც შეიძლება დავტვირთოთ მაღალმთიანი კურორტი წახკაძორი, — ამბობს იგი. — აქ ჩატარდება შეჯიბრებები ზამთრის ყველა სახეობაში, გარდა ციგურაობისა.

თავის პირველ მფლობელებს ელოდება „წახკაძორის პრიზი“, რომელიც სათხილამურო რბოლაში გამარჯვებისთვისაა დაწესებული. სტარტზე გამოვლენ ნორჩი მოთხილამურეებიც. ისინი „პიონერსკაია პრავდის“ პრიზს შეეცილებიან ერთმანეთს. სომეხი მემარხილეები ჯერ რესპუბლიკურ პირველობას გამართავენ, მერე კი პირველ საკავშირო ასპარეზობაში მიიღებენ მონაწილეობას. დაბოლოს, განზრახულია სომხეთის პირველი ჩემპიონატის ჩატარება შაიბიან ჰოკეიშიც.

სამთომთხილამურეები აპირებენ წახკაძორში თავიანთ ლიგა ჩემპიონატში მიიწვიონ საქართველოსა და უკრაინის უძლიერესი ოსტატები, მრბოლელებს კი ესტუმრებიან მოსკოვის ოლქის, ლენინგრადისა და რსფსრ-ს სხვა ქალაქების სპორტსმენები.

როგორც წინა წლებში, ჩატარდება დღესასწაულები „ლორის ზამთარი“ (კიროვაკანში), „შირაქის ზამთარი“ (ლენინაკანში) და პირველად — „ერევნის ზამთარი“ (წახკაძორში).

### სპორტის სახლი დაბაში

**ვლადივოსტოკი.** დაბა პოგრანიჩნი მალე სპორტის სასოფლო სახლს მიიღებს. მინისა და ბეტონისგან ნაგებ ორსართულიან შენობაში მოთავსდება ტანვარჯიშის, კალათბურთის, ფრენბურთის დარბაზები, ოთახები სხვა სექციებისთვის. ახალ სახლში პირველი შეჯიბრებები 1969 წლის დასაწყისიდან გაიმართება.

**ი. პლატოვი.**

### მედალი დირექტორს

**ლიპეცკი.** ტრაქტორმშენებლებმა ქარხნის დირექტორს ვ. კლიმენკოვს გულითადად მიულოცეს ოქროს მედალი, რომლითაც „ტრუდის“ ცენტრალურმა საბჭომ იგი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიურობისთვის დააჯილდოვა.

ოციანი წლების კომკავშირელი ვ. კლიმენკო ახალგაზრდობიდანვე სპორტის ენთუზიასტია. იგი იბრძვის, რომ ფიზკულტურა მასობრივად დაინერგოს ქარხნის კოლექტივში.

დირექტორის თაოსნობით ქარხანაში აიგო სპორტული კომპლექსი: სტადიონი, ველოტრეკი, ფრენბურთის, კალათბურთისა და ქალაქობანას მოედნები, საცურაო აუზი, ფიზკულტურის სასახლე, რომელშიც რამდენიმე დარბაზია სპორტთამაშებისა და წვრთნისთვის. ყოველი მეოთხე ტრაქტორმშენებელი ფიზკულტურელია. 45 სპორტსმენმა უკვე მოიპოვა ოსტატობა, ასობით კაცმა კი სპორტული თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მფრინავი მოთხილამურეების სეზონი

სპორტის მოყვარულები მიჩვეული არიან საბჭოთა ორჭიდელების გამარჯვებებს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. მაგრამ გრენობლის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენებიდან პრიზიორთა შორის ვერავინ მოხვდა. რა მდგომარეობაშია ამჟამად საბჭოთა ორჭიდელების ნაკრები. როგორია მისი პერსპექტივები მოახლოებული სეზონის წინ? ამ კითხვებზე ასს-ის კორესპონდენტს უპასუხა სსრ კავშირის სათხილამურო ორჭიდის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა, სპორტის ოსტატმა ვ. ტატარინცევმა.

● გრენობლის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ რა დასკვნები გამოიტანეთ?

— გრენობლში დიდი წარმატება ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ მწვრთნელები მაინც იმაზე შეთანხმდნენ, რომ მზადების ძველი, ჭრავალგზის შემოწმებული მეთოდიდან გადახვევა არ ღირს. ამ მეთოდის გამოყენებით საბჭოთა ორჭიდელებს შეეძლოთ ოლიმპიადაში კარგი შედეგების მოპოვება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას დასანანმა შემთხვევითობამ შეუშალა ხელი. პირველი მიზეზი ისაა, რომ შარშან თოვლი ჩვენში ძალიან გვიან მოვიდა და სპორტსმენებს დიდხანს არ ჰქონდათ ვარჯიშის დაწყების შესაძლებლობა. შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ ფაციფუცით მომზადებულიყვნენ. ასეთი აჩქარება კი, მოგეხსენებათ, მუდამ უარყოფითად მოქმედებს შედეგებზე.

მეორე და მნიშვნელოვანი მიზეზი, რაც თვითონ მწვრთნელებს გამორჩათ მხედველობიდან, ეს ის გახლდათ, რომ მწვრთნელები უგულისყუროდ მოეკიდნენ აკლიმატიზაციის პრობლემას. ჩვენი ორჭიდელები მთავარი სტარტების წინ ემზადებოდნენ ისეთ ადგილზე, რომელიც 400 მეტრით დაბალია საფრანგეთის ქალაქ ოტრანთან შედარებით. ოლიმპიელთა ორჭიდი კი, როგორც ცნობილია, სწორედ ოტრანში გაიმართა.

ამ ფაქტის სისწორეს ადასტურებს ის, რომ ოლიმპიადის შემდეგ ბარში გამართულ შეჯიბრებებში ჩვენი სპორტსმენები თავს უკეთ გრძნობდნენ და მეტი წარმატებითაც გამოვიდნენ. მაგალითად, ი. ნოსოვმა მოიგო ფალუნში (შვეცია) გამართული ტურნირი, ვ. დრიაგინი უძლიერესი იყო ლაჰტის (ფინეთი) ასპარეზობაში, რ. მაკარამ კი თავი ისახელა რავანიემის (ფინეთი) საერთაშორისო შეჯიბრებაში.

მაგრამ გაზაფხულიდან მზადების სისტემაში ზოგიერთ ცვლილებას მაინც შევიტანთ. მაგალითად, შემჩნეულია, რომ ტრამპლინზე შეჯიბრებაში საბჭოთა ორჭიდელები საზღვარგარეთის უძლიერეს სპორტსმენებთან ჩვეულებრივ 3-4 მეტრს აგებენ. ნაკლი იგრძნობა მათ სტილშიც, განსაკუთრებით, დაშვების ფაზაში, რაც ხშირად დავარდნით მთავრდება. ამიტომ ჩვენმა ორჭიდელებმა უკვე მოსამზადებელ პერიოდში გაამახვილეს ყურადღება ხტომით ვარჯიშებზე, იმდენ დროს უთმობდნენ ბატუტსა და ტანვარჯიშულ იარაღებს, როგორც არასოდეს.

მე მგონია, ჩვენი მოწინავე სპორტსმენები ახლა მეტი წარმატებით გამოდიან ტრამპლინზე. ყოველ შემთხვევაში ლენინგრადისა და გორკის საშემოდგომო ტურნირებში, სადაც ხტომაში შეჯიბრება ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე მოეწყო, ბევრი მონაწილის სტილი კარგი იყო.

● თუ შეიძლება, გვიამბეთ ჩვენი ორჭიდის ლიდერებზე.

— ვფიქრობ, ნაკრების ღირსების დაცვას წლეულსაც მივანდობთ ვ. დრიაგინს („დინამო", გორკი), რ. მაკარას („შრომითი რეზერვები", ლენინგრადი), მ. არტიუხოვს („სპარტაკი", ლენინგრადი) და ტ. ხალიანდს („დინამო", ტალინი). ნაკრები სხვადასხვა თაობის სპორტსმენებისგან შედგება, მაგრამ მათში ყველაზე უფროსი — დრიაგინიც კი აუმჯობესებს პირად შედეგებს.

განსაკუთრებულ იმედს ვამყარებთ მაკარზე. იგი ახალგაზრდაა, სულ 20 წლისა, მაგრამ დიდი ნებისყოფა აქვს. მისი შეუპოვრობა ბევრ გამოცდილ მებრძოლს შეშურდება. ვოროხტის საკავშირო ჩემპიონატში მანამდე ნაკლებად ცნობილმა ლენინგრადელმა სპორტსმენმა შეძლო მწვავე მეტოქეობის პირობებში მოეპოვებინა ოქროს მედალი და ოლიმპიადის საგზური. აქვე აღვნიშნავ, მაკარა გრენობლშიც საუკეთესო იყო საბჭოთა ორჭიდელთა შორის.

დრიაგინი, არტიუხოვი და ხალიანდი ორჭიდის საბჭოთა სკოლის ტიპიური წარმომადგენლები არიან. ყველა მათგანს მაღალი შედეგები აქვს ტრამპლინიდან ხტომასა და რბენაში.

წლეულს ქვეყნის ნაკრებში პირველად ჩაირიცხნენ ახალგაზრდები: არმიელი ა. პოპოვი (ლენინგრადი), დინამოელი ი. გოლოვი (ტომსკი) და მისი ტალინელი თანაკლუბელი ი. ხაუ... მათგან ჯერჯერობით ყველაზე ცნობილია ესტონელი ორჭიდელი, რომელმაც ვოროხტაში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში VI, ხოლო ევროპის პირველობაში V ადგილი დაიკავა. პოპოვმა და გოლოვმა ჯერჯერობით მხოლოდ იუნიორთა შინაურ შეჯიბრებებში გვიჩვენეს თავიანთი ოსტატობა.

● რა დიდ შეჯიბრებებში გამოვლენ მიმდინარე სეზონში საბჭოთა ორჭიდელები?

— პირველ ყოვლისა, კავგოლოვოს ტურნირში. აქ 18-19 იანვარს მოეწყობა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც თითქმის მთელი მსოფლიოს უძლიერეს ორჭიდელებს მოუყრის თავს. შემდეგ ჩვენი ნაკრები რაიტ-იმვინკლში (გფრ) იასპარეზებს, უფრო გვიან კი გამოვა ფალუნსა და ჰოლმენკოლენში გამართულ ტრადიციულ ტურნირებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო შეჯიბრება, რომელსაც ბევრი სპეციალისტი არაოფიციალურ მსოფლიო პირველობას უთანაბრებს.

საინტერესო სტარტები ელით იუნიორებსაც. თებერვალში ისინი გამოვლენ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში, რომელიც შვეციაში გაიმართება. გუნდის ლიდერები იქნებიან პოპოვი და გოლოვი, რომელთაც საპრიზო ადგილებზე გასვლის დიდი შანსი აქვთ.

## ახალი ამბები

● **მეხიკო, 29 ნოემბერი.** საბჭოთა ველომრბოლელები ვ. სოკოლოვი და ი. პოლუპანოვი წარმატებით ასპარეზობენ აქ გამართულ 15-დღიან შეჯიბრებაში. 5 ეტაპის შემდეგ სოკოლოვი მეხუთეა. იგი 2 წუთით ჩამორჩება ლიდერს, მექსიკელ ტრევინოს. პოლუპანოვი მეთერთმეტეა. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენები მესამე ადგილზე არიან.

● **ტოკიო, 29 ნოემბერი.** იაპონიის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია მოითხოვს სპორტის ეს სახეობა ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანონ. მან იაპონიის ოლიმპიურ კომიტეტს მოსთხოვა ეს საკითხი დასვას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე.

● **რომი, 29 ნოემბერი.** იტალიელი მოთხილამურეები, რომელთაც მეთაურობს გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი ფ. ნონესი, სკანდინავიაში გაემგზავრნენ. ისინი, როგორც მუდამ, ივარჯიშებენ შვეციის ჩრდილოეთით. იტალიელებს კვლავ შვედი ბ. ნილსონი წვრთნის.

● **მადრიდი, 29 ნოემბერი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, მადრიდის „რეალის" კალათბურთელთა გუნდი გავიდა ამ გათამაშების მეორე წრეში. „რეალმა" განმეორებით შეხვედრაში კვლავ დაამარცხა ინგლისის „ოლდერშოტ ვერიოსი" — 137:44.

● **კიევი, 29 ნოემბერი.** ასუჭრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის VII ტურის ცენტრალური შეხვედრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ვ. შჩოგოლევისა და ი. კუპერმანის პარტია იყო. საინტერესო და დაძაბული ბრძოლის შემდეგ იგი ყაიმით დამთავრდა. შეჯიბრებას კვლავ შჩოგოლევი ლიდერობს — მას 4,5 ქულა აქვს.

● **ბერლინი, 29 ნოემბერი.** ე. ლასკერის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 9 ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი ა. სუეტინი, თუმცა მან ამ ტურში წააგო გერმანელ ფუქსთან. სუეტინს 6,5 ქულა აქვს. II ადგილზეა დ. ბრონშტეინი, რომელმაც IX ტურში დაამარცხა რუმინელი რადოვიჩი — 6 ქულა. III-IV ადგილებს იყოფენ ვ. ულმანი (გდრ) და ე. ვასიუკოვი — 5,5-5,5 ქულა. შეჯიბრების მეოთხე საბჭოთა მონაწილეს ზაიცევს 4 ქულა აქვს.

● **მოსკოვი, 29 ნოემბერი.** ფრანგი ტანმოვარჯიშეები უკრაინის დედაქალაქიდან მოსკოვს ეწვივნენ და სამატჩო შეხვედრა გამართეს ადგილობრივ სპორტსმენებთან. ისინი ევროპული ტანვარჯიშის ავანგარდში არ დგანან, მაგრამ საკმაო გამოცდილება აქვთ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველმა ტანმოვარჯიშეებმა. მათ 280,15 ქულა დააგროვეს. სტუმრებს 273,5 ქულა აქვთ.

● **კიშინიოვი, 29 ნოემბერი.** „მოლდოვას" სპორტულ დარბაზში თავი მოიყარა საბჭოთა მხატვრული ტანვარჯიშის თითქმის ყველა ვარსკვლავმა: აქ დაიწყო პროფკავშირთა პირად-გუნდური საკავშირო პირველობა. მონაწილეთა შორის არიან მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, 17 წლის ე. კარპუხინა, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. ოვჩინიკოვა, მსოფლიო ჩემპიონები ლ. პარადიევა, მ. კუჩინსკაია, ტ. მაშკოვა, ლ. კაჩკალდა. გარდა გუნდური და პირადი პრიზებისა დაწესებულია რამდენიმე სპეციალური ჯილდოც — ყველაზე გრაციოზული და ელეგანტური ტანმოვარჯიშისთვის, ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენისთვის, რომელიც საუკეთესო შედეგს აჩვენებს, და სხვ.

● **ჩელიაბინსკი, 29 ნოემბერი.** აქ დამთავრდა ფიგურული ციგურაობის ოსტატთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც ცნობილი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ქალთა შორის გაიმარჯვა ვ. ალექსანდროვამ, რომელმაც II ადგილზე დატოვა სსრ კავშირის ჩემპიონი გ. გრჟიბოვსკაია. მესამე იყო ე. კოტოვა. ვაჟებში ყველას აჯობა უნივერსიადის ჩემპიონმა ვ. კურენბინმა. II ადგილზე გავიდა ს. ჩეტვერუხინი, III — ვ. მეშკოვი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს პროფკავშირის I ნაკრების სპორტსმენებმა. II ადგილზეა „დინამო", III — „ბურევესტნიკი".

● **ბუქარესტი, 29 ნოემბერი.** ხელბურთელ ქალთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების III ტურში საბჭოთა სპორტსმენებმა მოუგეს რუმინეთის ახალგაზრდულ ნაკრებს — 20:12. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: რუმინეთი — უნგრეთი 16:12, გდრ — იუგოსლავია — 8:7.

● **ციურიხი, 29 ნოემბერი.** მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელმა გამოდევნებით ინდივიდუალურ ველორბოლაში, შვეიცარიელმა კ. კურმანმა ამ ქალაქის ერთ-ერთ ტრეკზე 5-კილომეტრიანი დისტანცია 6 წუთსა და 6 წამში დაფარა და 2,4 წამით გააუმჯობესა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, ჰოლანდიელი გ. ბონგერსის მსოფლიო მიღწევა. კურმანის შედეგი მხოლოდ 0,4 წამით ჩამორჩება პროფესიონალ ფ. ბრაკის (ბელგია) მსოფლიო რეკორდს.

● **თეირანი, 29 ნოემბერი.** ლონდონ—სიდნეის ავტორალის მონაწილეებმა ხუთშაბათს გაიარეს თეირანი. ყველა „მოსკვიჩი" ვადამდე მივიდა საკონტროლო პუნქტში. ასპარეზობას კიდევ 3 მანქანა გამოაკლდა და ახლა ბრძოლას აგრძელებს 88 ეკიპაჟი, მათგან 14-ს 100 და მეტი საჯარიმო ქულა აქვს. ლიდერობენ ინტერნაციონალური დუეტის წევრები ლ. კლარკი (ინგლისი) და ო. ანდერსენი (შვეცია), რომლებიც ტურნირში „ფორდ-ლოტუსით" ჩაებნენ. მათ მხოლოდ 6 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ. როგორც ცნობილია, რალის მონაწილეებს ბომბეიში ელოდებათ გემი, რომელიც 70 საუკეთესო ეკიპაჟს ავსტრალიაში გადაიყვანს შეჯიბრების გასაგრძელებლად. ოთხივე საბჭოთა ეკიპაჟს ზღვაზე გასვლის კარგი შანსი აქვს. ს. ტენიშევისა და ვ. შჩავლიევის ეკიპაჟებს შესაბამისად 47 და 46 ქულა დაუგროვდათ, ა. იპატენკოს ეკიპაჟს — 69, უ. ჰაჯას ეკიპაჟს — 91.

## ტალი — I ადგილზე

**გორი, 29 ნოემბერი.** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის საჭადრაკო მემორიალზე გაიმართა ბოლო, X ტური.

პირველი ადგილის გასანაღდებლად მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ტალს ყაიმიც ჰყოფნიდა და ამიტომ იგი სწრაფად დაუზავდა მსოფლიო ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს. ტალმა 7,5 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაისაკუთრა. საერთაშორისო ოსტატ ბ. გურგენიძეს აუცილებლად უნდა მოეგო ზ. მიქაძისთვის, რომ დიდოსტატ ე. გელერს დასწეოდა. ეს მან შეძლო კიდეც და გელერთან ერთად II-III ადგილები გაიყო. თვითეულს 7 ქულა აქვს.

რ. ჯინჯიხაშვილისა და დიდოსტატ ე. გუფელდის პარტია საინტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა ლ. გრიგორიან — გ. მუკნიაშვილის შეხვედრაც.

მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა და ე. გუფელდმა IV-V ადგილები გაიყვეს.

ხვალ მოეწყობა ვ. ქარსელაძის მემორიალის საზეიმო დახურვა.

## უკანასკნელ საათს...

◆ **კიევი, 30 ნოემბერი.** ასუჭრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის ყოველ დღეს ახალ-ახალი სიურპრიზები მოაქვს. დამარცხებულთა შორის არიან არა მარტო ისინი, ვინც დაფებს უსხედან, არამედ ისიც, ვინც იმ დღეს არ თამაშობს. VIII ტურში ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ვ. შჩოგოლევი თავისუფალი იყო და შეჯიბრებაზე არც მოსულა. მაგრამ ღამით მან გაიგო, რომ პირველიდან IV ადგილზე გადაინაცვლა. არავის სჯეროდა, რომ VII ტურის შემდეგ (რომელშიც მხოლოდ ერთი შედეგიანი პარტია იყო) უკვე მომდევნოში მხოლოდ ერთი ყაიმი იქნებოდა. თავიანთი მეტოქეები დაამარცხეს: ა. ანდრეიკომ (ა. ბელორუსი), ი. კუპერმანმა (ვ. სოლნიკოვი), ვ. კაპლანმა (ს. გულიაევი), ა. მოგილიანსკიმ (ს. მანშინი), ა. განტვარგმა (ი. ფაინბერგი). ნ. სრეტენსკიც კი, რომელსაც მანამდე მხოლოდ ყაიმები ჰქონდა, საერთო განწყობილებას „აჰყვა" და... წააგო ს. დავიდოვთან. ავადმყოფობის გამო არ შედგა ბ. გურვიჩის შეხვედრა ლ. სლომოდსკოისთან. 8 ტურის შემდეგ ლიდერობს სამეული: ანდრეიკო, განტვარგი და დავიდოვი — 5-5 ქულა. შჩოგოლევსა და მოგილიანსკის 4,5-4,5 ქულა აქვთ.

◆ **რიგა, 30 ნოემბერი.** სსრ კავშირის ახალგაზრდულ ჩემპიონატში გაიმარჯვეს ცსკა-ს ძალოსნებმა. II ადგილზე გავიდნენ დინამოელები, ხოლო III — ბურევესტნიკელები. ჩემპიონატში მონაწილეობდა 200-მდე ათლეტი. დამყარდა მსოფლიოს 2 და სსრ კავშირის 3 რეკორდი იუნიორთათვის, რომელთა ავტორია 19 წლის ივანოვსკელი სტუდენტი ვ. კომისაროვი (საშუალო წონა).

◆ **მოსკოვი, 30 ნოემბერი.** უკრაინის დედაქალაქში 6 დეკემბერს დაიწყება დამატებითი მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად რუსულ შაშში. მეტოქეები იქნებიან ტალინში ამას წინათ დამთავრებული XII საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულნი — სსრ კავშირის 1962 წლის ჩემპიონი, რიგელი ი. ცინე და 1965 და 1966 წლების ჩემპიონი, ლენინგრადელი ი. სპასკაია. მატჩი 6 პარტიისგან შედგება და დამთავრდება 13 დეკემბერს.



ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გ. დიმიტროვის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის მთავარი ასისტენტი, სპორტის ოსტატი ძალოსნობაში პ. დობრევი 1964 წლიდან მეცნიერულად სწავლობს „სიმძიმეებით ძალისმიერი ვარჯიშის გავლენას ხანდაზმულთა სხეულზე".

გამოკვლევას და მეცნიერულ დაკვირვებებს დობრევი ატარებს ჯგუფში, რომლის წევრთა ასაკი 63-დან 75 წლს აღწევს. მასთან ერთად მუშაობს ექიმი-ფიზიოლოგი ა. დიმიტროვაც.

ექსპერიმენტის შედეგები ახეთია: თითქმის ყველა ხანდაზმულმა ფიზკულტურელმა შენიშნა შრომისნაყოფიერების და სასიცოცხლო ტონუსის ამაღლება. მაგალითად, 70 წლის ს. აბაჯიევი შტანგით ვარჯიშის დაწყებამდე 106 კგ-ს იწონიდა და უჯოხოდ ვერ დადიოდა. ახლა იგი 76 კგ-ს იწონის და 140-კილოგრამიან შტანგას სწევს. 70 წლის სპორტსმენი მძიმედ დატვირთულიც კი თავისუფლად ადის მეშვიდე სართულზე.

75 წლის ი. მორდოხაი ყველაზე ღონიერია სექციაში. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე მუშაობდა, მონაწილეობდა ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში, ექვსჯერაა დაჭრილი. რეგულარული წვრთნის შედეგად მორდოხაიმ მიაღწია იმას, რომ წოლელა 90 კგ-ს სწევს და 140-კილოგრამიანი შტანგით აკეთებს ჩაჯდომს.

* * *

სურათებზე: 68 წლის ტ. გროზნენკოვი წვრთნის დროს. იგი ტანად 167 სანტიმეტრია და 58 კგ-ს იწონის, მაგრამ 110-კილოგრამიან შტანგას სწევს. მას თვალს ადევნებს პ. დობრევი; ი. მორდოხაი მეცადინეობის დროს.

ფოტო სოფია-პრეს—ასს-ისა.

# ოლიმპიური ოქრო... ლომბარდში

## რა ბედი ეწია ვილმა რუდოლფს?

„შავი ქურციკის ტრიუმფი“, „არაჩვეულებრივი სანახაობა“, წერდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გაზეთები რომის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონზე ვილმა რუდოლფზე. 20 წლის ზანგმა სპორტსმენმა ოქროს მედლები მოიპოვა 100 და 200 მეტრზე რბენაში, 4×100 მეტრზე ესტაფეტაში.

მას შემდეგ რვა წელი გავიდა. სადაა ახლა ვილმა რუდოლფი, რას აკეთებს? ამის შესახებ გვიამბობს ავსტრიული გაზეთის „ფოლკსშტიმეს“ ერთ-ერთი ამასწინანდელი ნომერი.

ვილმას მოსაძებნად რამდენიმე დღე დამჭირდა, — წერს ბ. კუნინგამი, რომელმაც ინტერვიუ ჩამოართვა ოლიმპიურ ჩემპიონს.

რუდოლფი იძულებული გახდა გაქცეულიყო თავისი მშობლიური ქალაქიდან კლარკსვილიდან, სადაც ზანგებს ზიზღითა და მძულვარებით ექცევიან. ახლა იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში დახეტიალობს, ხან ერთგან დაიდებს ბინას, ხან მეორეგან.

— მძლეოსნობა ჩემთვის ერთადერთი შანსი იყო გაჭირვებიდან თავის დაღწევისა, — ამბობს ვილმა. — ჩვენს ოჯახს ერთადერთი სიმდიდრე გააჩნდა — 22 ბავშვი. მე მეცხრამეტე დავიბადე. საშინელ გაჭირვებაში ვცხოვრობდით და, ამასთან, ზანგები ვიყავით. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი კანის ფერს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

იმედს მხოლოდ სპორტზე ვამყარებდი. რბენა არ მიჭირდა. მძლეოსნობაში ვარჯიში ცამეტი წლისამ დავიწყე. ჩემით დაინტერესდა ტენესის შტატის კოლეჯის მწვრთნელი. და მალე ამ კოლეჯში მიმიღეს...

შემდეგ — რომი. ოქროს სამი მედალი, მაყურებლის აღტაცებული ოვაციები, ამხანაგების მილოცვები, მომავლის გეგმები...

„სადაა ახლა, ვილმა, თქვენი ოლიმპიური ოქროს მედლები?“

— ლომბარდში დევს თასებისა და პრიზების სამ ყუთთან, მთელ ჩვენს ავეჯთან ერთად.

... რომის ტრიუმფის შემდეგ რუდოლფმა კოლეჯი დაამთავრა და ზანგების სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა.

— ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე წლები. ვხედავდი, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქში სრულიად არაფერი შეცვლილა. მიუხედავად რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტისა.

ვილმას სურდა სპეციალური პროგრამა დაემუშავებინა ზანგი ბავშვებისთვის, მრავალი კარგი იდეა ჰქონდა, მაგრამ კვლავ და კვლავ აწყდებოდა წინააღმდეგობას ადგილობრივ ხელისუფალთა მხრივ.

როცა კლარკსვილის ზანგები ქუჩაში გამოვიდნენ რასობრივი დისკრიმინაციის პროტესტის ნიშნად, ვილმა სათავეში ჩაუდგა ამ დემონსტრაციას.

— ადრე მხოლოდ გაგონილი მქონდა ცრემლმდენ გაზზე, — იგონებს იგი, — მაგრამ იმ დღეს მივხვდი, რაც იყო. გონება წამერთვა...

ქალაქის მმართველებმა, რომლებიც თითქმის ხელით ატარებდნენ ვილმას რომში მისი გამარჯვების შემდეგ და იმდენად იმდაბლებდნენ თავს, რომ მამამისს, რკინიგზის სადგურის მუშას, ხელის ჩამორთმევით ესალმებოდნენ, ვილმა შეიძულეს. შეიძულეს, რადგან მან გაბედა ზანგებისთვის უფლებების მოთხოვნა...

დაიწყო დევნა. ვილმას უხეშად შეურაცხყოფდნენ ქუჩაში. მის ქმარს ავტომანქანის მოპარვა დასწამეს და დაიჭირეს.

— ჩემს ქმარს ის მანქანა თვალითაც არ უნახავს, მაგრამ მაინც გაასამართლეს. მოსამართლემ ისიც კი მოითხოვა, რომ ჩვენ სამარცხვინოდ გავეყარეთ გარეთ. უკანასკნელი დანაზოგები ვექილს მივეცი, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა...

ვილმა იძულებული იყო სამ პატარა ბავშვთან ერთად ჩუმად, ღამით დაეტოვებინა ქალაქი. იგი ცდილობდა სამუშაო ეშოვნა — სარეკლამო ჟურნალებისთვის სურათები გადაეღო, მაგრამ უარი უთხრეს, ძალიან მაღალი ხარო. მალე კი ახალი უბედურება დაატყდა — საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა...

... ახლა ვილმა 28 წლისაა. იგი უწინდებურად ლამაზია, ოღონდ სახე გაუმკაცრდაო, შენიშნავს კუნინგამი.

— ძალმომრეობის მომხრე არა ვარ, — ამბობს ვილმა, — მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მილიონობით დაჩაგრულ ზანგს ბრძოლის გარდა გზა არ დარჩენია. და ჩვენ გავიმარჯვებთ. ჩემი შვილები ასეთ ჯოჯოხეთში არ იცხოვრებენ...

ვილმა რუდოლფმა მხურვალედ დაუჭირა მხარი მისი ამხანაგების — მეხიკოს ოლიმპიადაში გამარჯვებულთა პროტესტს რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. იგი გულით იმ ამერიკელ სპორტსმენებთანაა, რომლებიც იბრძვიან ჭეშმარიტი თავისუფლებისთვის და დემოკრატიისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მ. ოზეროვი.

# შეხვედრები ალჟირის მინდვრებზე

ამას წინათ რსფსრ-ს ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მოაწყო ათდღიანი ტურნე ალჟირის რესპუბლიკაში. სამშობლოში გამომგზავრების წინ აას-ის კორესპონდენტმა ალჟირში ი. ზინინმა საბჭოთა გუნდის მწვრთნელს ე. როგოვს სთხოვა გაეზიარებინა ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები.

— შინ ძალიან კმაყოფილი ვბრუნდებით, — თქვა ე. როგოვმა. — ალჟირმა მართლა სტუმართმოყვარეობით როდი დაგვატყვევა. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ალჟირელმა გულშემატკივრებმა, რომლებიც შესანიშნავად ერკვევიან საფეხბურთო ბრძოლის ნიუანსებში. მოგვეწონა თავად ალჟირელი ფეხბურთელებიც. ისინი გამოირჩევიან მოქნილი ტაქტიკით, მრავალსვლიანი კომბინაციებით.

— საინტერესოა აღინიშნოს, — განაგრძობს ე. როგოვი, — რომ ალჟირის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ჩვენთვის უცნობი მეტოქე არ იყო. 1965 წელს ალჟირელი ფეხბურთელები პირველად იყვნენ საბჭოთა კავშირში, ორი წლის შემდეგ კი რსფსრ-ს გუნდი ეწვია მათ. მაშინ ჩვენ სამი მატჩი ჩავატარეთ. ერთი წავაგეთ, მეორე ფრედ დავამთავრეთ და მესამე მოვიგეთ.

წლეულსაც სამი შეხვედრა გავმართეთ. ერთი წავაგეთ (0:1) ალჟირის ახალგაზრდულ გუნდთან, ორ დანარჩენ მატჩში კი ანგარიში არ გახსნილა. ჩვენს გუნდში სხვადასხვა კლუბის ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეები შედიოდნენ (საშუალო ასაკი — 22 წელი).

როგორც მწვრთნელმა, განსაკუთრებით შევნიშნე ალჟირელი ფეხბურთელების ოსტატობის ზრდა. ახლა მათ ახასიათებთ მზარდი ინდივიდუალური ოსტატობა, თავისებური ტაქტიკური ხერხები, კარგი ტექნიკა. ამ თვისებებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ტყავის ბურთის ისეთი ოსტატები, როგორიც არიან ბელიუიფი, ლალამასი და აშური.

— ალჟირის პრესა დიდ ადგილს უთმობდა საბჭოთა ფეხბურთელებს, — ამბობს დასასრულ როგოვი. — სპორტული კომენტატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ჩვენი მოთამაშეების ნებისყოფას და საუცხოო ფიზიკურ მომზადებას. განსაკუთრებით გამოყოფდნენ შესანიშნავ თამაშს მეკარე ლევ კუდასოვისას, რომელმაც რამდენიმე „მკვდარი“ ბურთი აიღო. ერთი სიტყვით, მიუხედავად ჰავის ცვლილებისა, მიუხედავად უჩვეულო უბალახო მინდვრისა, შინ კმაყოფილი ვბრუნდებით. გვინდა გვჯეროდეს, რომ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა და ალჟირელ ფეხბურთელებს შორის კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება.

## ეროვნული ბიბლიოთეკა

„სასიკვდილო რეკლამა“ — ასე უწოდა თავის ერთ-ერთ წერილს დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „კვიკმა“, რომელმაც ეს სურათი გამოაქვეყნა. წერილში ნაამბობია, რომ ამერიკელი რობერტ ტრანჟე — წარსულში ტანმოვარჯიშე, შემდეგ პროვინციული ცირკის საჰაერო აკრობატი — დიდხანს უმუშევარი იყო. სხვა გზა აღარ ჰქონდა და სპორტსმენმა სიცოცხლისთვის დიდად სახიფათო საქმეს მოჰკიდა ხელი: ტრანჟე საჰაერო ბურთით დიდ სიმაღლეზე ადიოდა და როცა იგი ქალაქის თავზე დაფრინავდა, მისი პარტნიორი სალტე რეზინის, საცვლებისა და ათასგვარი სხვა წვრილმანის რეკლამას გამოჰკიდებდა ხოლმე.

პენდელში, ერთ-ერთი სარეკლამო ფრენის დროს საჰაერო ბურთის კალათი უეცრად მაღალი ძაბვის მავთულებს გამოედო, ცეცხლი წაეკიდა და გადაბრუნდა. რობერტი და მისი პარტნიორი ქალი სასიკვდილოდ დაშავდნენ.



# მკვლელია დოპინგი

საფრანგეთი შესძრა ორი სპორტსმენის ტრაგიკულმა დაღუპვამ.

... ჟან ლუი კადრი გრენობლის ახლოს მდებარე პატარა ქალაქში სენტ-ეგრევში თამაშობდა ფეხბურთს. იგი წინ გაიჭრა, მეკარის პირისპირ დარჩა და... მოულოდნელად მოცელილივით დაასკდა მიწას. სახე გაულურჯდა. ხელოვნურმა სუნთქვამ ვერაფერი უშველა და სპორტსმენმა საავადმყოფოში დალია სული. იგი 18 წლისა იყო...

გაკვეთის შემდეგ აღმოჩენილი ამფეტამინის (მძლავრი წამალია) კვალი ექიმებს არ მიუჩნევიათ იმის საბუთად, რომ სპორტსმენი დოპინგმა მოკლა. შეიძლება საქმე ამით დამთავრებულიყო, რომ ზუსტად ორი კვირის შემდეგ საფრანგეთის იმავე რაიონში თითქმის იმგვარადვე არ დაღუპულიყო მეორე სპორტსმენი — 23 წლის ველომრბოლელი ივ მოტენი.

იგი თავის სახლთან იპოვეს მკვდარი შეჯიბრებაში გამარჯვების შემდეგ. გაკვეთამ კვლავ დაადასტურა ორგანიზმში ამფეტამინის კვალი. დაიწყო გამოძიება. როგორც დადგენილია, ორივე სპორტსმენმა ერთი „სპორტული ექიმისგან“ მიიღო ნარკოტული საშუალებები.

გამოძიება გრძელდება. საფრანგეთის საზოგადოებრიობა მის ბოლომდე მიყვანას მოითხოვს.

# ფეხბურთის ქრონიკა

**დელი.** მინსკის „დინამო“ განაგრძობს ტურნეს ინდოეთში. მინსკელებს თავიანთი მესამე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჰქონდათ ამ ქვეყნის დედაქალაქში. მათ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ინდოეთის კლუბების ნაკრები.

**სან-ხოსე.** მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში კოსტა-რიკის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა იამაიკის გუნდი. აღსანიშნავია, რომ ყველა ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმში.

**ვარშავა.** პოლონეთის საფეხბურთო კავშირმა გამოაცხადა თავისი ნაკრების შეხვედრათა თარიღები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. პირველი თამაში ლუქსემბურგთან პოლონელებს აქვთ 20 აპრილს თავიანთ მინდორზე. 7 მაისს ისინი შეხვდებიან ჰოლანდიის ნაკრებს ამსტერდამში, ხოლო 15 ივნისს, ბულგარეთს — სოფიაში. 7 სექტემბერს დანიშნულია საპასუხო მატჩი ჰოლანდიასთან ხოჟუვში, 12 ოქტომბერს — ლუქსემბურგში, ხოლო 18 ნოემბერს — დასკვნითი თამაში ბულგარეთის ნაკრებთან ვარშავაში.

ამას გარდა, გაისად პოლონელები სტამბოლში შეხვდებიან თურქეთის ნაკრებს 30 აპრილს და ნორვეგიის ნაკრებს ლოძში — 27 აგვისტოს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ცხოვრება

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. 1-2 დეკემბერი. სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა. „ა“ კლასი. ვაჟთა გუნდები. „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ). დასაწყისი 20 ს.

**ჭადრაკი.** საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. №14). 1-8 დეკემბერი. ნ. ალექსანდრიასა და ა. ჩაიკოვსკაიას მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად. დასაწყისი 17 ს.

**სასტენდო სროლა.** ასკ-ს სასროლეთი. 1 დეკემბერი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებებსა და უწყებათა შორის. დასაწყისი 10 ს. 30 წ.



▲ იტალიის მძლეოსანთა ჩემპიონატში კარგად იასპარეზეს მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილეებმა ფინელიმ და დელ ბუონომ. 1500 მეტრზე ორივემ ერთნაირად მაღალი შედეგი (3.41,4) აჩვენა. დელ ბუონომ მოიგო 800 მეტრზე რბენაც — 1.48,8.

ამ ბოლო ხანებში დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში მოდად იქცა გრძელი ველოსიპედები რამდენიმე კაცისთვის. სტატისტიკის მოყვარულებმა ველოსიპედის სიგრძის მსოფლიო რეკორდებიც კი აღნუსხეს.

თავიდან ეს რეკორდი ოკეანეს გაღმა ბინადრობდა: კალიფორნიელმა სტუდენტებმა დაამზადეს ველოსიპედი, რომელიც შვიდნახევარ მეტრს უდრიდა სიგრძით. ამ ველოსიპედით ერთდროულად რვა კაცს შეეძლო სეირნობა. მაგრამ მალე რეკორდმა ევროპაში გადაინაცვლა. ახალგაზრდა ნორვეგიელებმა გააკეთეს ველოსიპედი, რომლის სიგრძეც 9 მეტრია და რომლითაც 10 კაცი დადის ერთად. და აი, ახალი გამოგონებაც გაჩნდა. „ინგლისის ველოსიპედების ფაბრიკის ოცი მუშა რამდენიმე თვის მანძილზე თავის ნებით აცხადებდა უარს შესვენებაზე და თავისუფალ სალამოებზე, — წერს დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი“, საიდანაც ეს სურათია გადმობეჭდილი. — ისინი ველოსიპედს აკეთებდნენ. ახალი გიგანტი სიგრძით (15 მეტრი) ბევრად აღემატება ყველა თავის წინამორბედს (ამ ველოსიპედზე ერთდროულად 20 კაცი ჯდება). ახალ ველოსიპედს ის უპირატესობაც აქვს, რომ პატარა ძრავითაა შეიარაღებული“.



ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 12065